



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების
შესახებ¹



ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ნინო მინდიაშვილი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

თამთა ცხოვრებაძე, ვებსტერის უნივერსიტეტი, თბილისის ფილიალი, საქართველო

თბილისი
2025

¹ **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)
სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	მ. კოსტავას ქ. № 77, თბილისი, 0160, საქართველო
ვებ-გვერდი	www.gtu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 11 ოქტომბრის №1318296 გადაწყვეტილებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს ექვსი წლის ვადით მიენიჭა ავტორიზაცია.
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	27.09.2024, №1318296
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	27.09.2030

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები²

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	
ბაკალავრიატი	76
მაგისტრატურა	61
ერთსაფეხურიანი	-
დოქტორანტურა	37
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	1
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	7
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	1
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა ³	3
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	106 53 (სტუდენტები) 53 (პერსონალი) (01.01.2025დან-20.11.2025მდე)

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი

² იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

³ იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3⁴⁸ პუნქტში

სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	20697	19276	
ბაკალავრიატი	17535	14974	39%
მაგისტრატურა	2346 46	2689 8	53%
ერთსაფეხურიანი	-	-	-
დოქტორანტურა	454	1238	54%
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-	-	-
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	362	375	92%
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	834	329	25%
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	5	-	-

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	4259
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	1214
- პროფესორი	429
- ასოცირებული პროფესორი	529
- ასისტენტ პროფესორი	185
- ასისტენტი	71
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	458
- მეცნიერი	399
- პოსტდოქტორანტი	59
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	1214
- აფილირებული პროფესორი	429
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	529
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	185
- აფილირებული ასისტენტი	71
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	13
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	24
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	479
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	2071

შენიშვნა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	187547,9 კვ./მ.
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	108678,9 კვ./მ.
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	78868,955 კვ./მ.

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი: ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა შვიდივე სტანდარტი, რომელზეც გაცემული იყო რეკომენდაციები, თუმცა არ მოხდა 2.3, 3.1 და 3.3 კომპონენტების შეფასება. შეფასება განხორციელდა როგორც უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ისე ვიზიტის დროს დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების საფუძველზე. უსდ-ში ვიზიტი განხორციელდა 12-13 ნოემბერს. ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე დაინიშნა წინასწარი შეხვედრა, სადაც ექსპერტებმა იმსჯელეს ყველა საკითხზე და მოხდა სამუშაოს გადანაწილება. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა შემდეგ დაინტერესებულ მხარეებს: ვიცე-რექტორებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, აკადემიურ საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, საერთაშორისო აკრედიტაციის ცენტრის, სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის, სასწავლო პროცესის მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის, შიდა აუდიტის, საფინანსო და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის წარმომადგენლებს, ფაკულტეტების დეკანებს, აკადემიურ პერსონალს, კვლევით პერსონალს, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებს, სტუდენტებს და დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შემდეგ ობიექტებზე: XI კორპუსი (დავით გურამიშვილის ქ. N17), I კორპუსი (კოსტავას ქ. N68), III-IV კორპუსი (კოსტავას ქ. 77), ადმინისტრაციული კორპუსი (კოსტავას ქ. 77) და IX კორპუსი (კოსტავას ქ. 77).	
მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები: ☒ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: 01-05 ივლისი, 2024 წელი ☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში შეფასების განხორციელების თარიღი: _____	
უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
რეკომენდაცია 1: რეკომენდებულია, დაწესებულებამ მკაფიოდ განსაზღვროს სტუ-ს საქმიანობის სტრატეგიული ორიენტირი მისიის დოკუმენტით განსაზღვრული ოთხი საყრდენის შესაბამისად (კომპონენტი 1.1);	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 2: რეკომენდებულია, მისიის განაცხადი დაკავშირებული იყოს მიზნებთან,	რეკომენდაცია შესრულებულია

იმისათვის რომ შესაძლებელი იყოს მათი მონიტორინგი და გაზომვა (კომპონენტი 1.1);	
რეკომენდაცია 3: რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა მისიის შემუშავების პროცესში (კომპონენტი 1.1);	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 4: რეკომენდებულია, 7 სტრატეგიული მიმართულების ხარისხობრივი საზომის განსაზღვრა და მათი დაკავშირება პრიორიტეტებთან (კომპონენტი 1.2);	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 5: რეკომენდებულია, 7 სტრატეგიული მიმართულებიდან სტრუქტურული ერთეულებისთვის ურთიერთკავშირის რუკების მიწოდება (კომპონენტი 1.2);	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 6: რეკომენდებულია, ყველა სტრუქტურული ერთეულის მონიტორინგი და შეფასება უმაღლეს დონეზე (კომპონენტი 1.2);	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 7: დაწესებულებას აქვს დიდი რაოდენობით ფაკულტეტები (ასევე, რამოდენიმე ფაკულტეტზე არის დეპარტამენტების დიდი რაოდენობა) და კვლევითი ინსტიტუტები. რეკომენდებულია, ფაკულტეტების და კვლევითი ინსტიტუტების რაოდენობის ოპტიმიზაცია და შესაბამისად ფაკულტეტების სახელწოდებების შეცვლა (კომპონენტი 2.1);	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 8: რეკომენდებულია, კვლევითი ცენტრების როლის ჩამოყალიბება და მათი ურთიერთკავშირი აკადემიურ დეპარტამენტებთან (კომპონენტი 2.1);	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 9: რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ჩაატაროს ყოვლისმომცველი ანალიზი, რომელიც გააერთიანებს ყველა ფაკულტეტის მონაცემებს, საერთო აკადემიური მოსწრების და ტენდენციების შესახებ ღირებული ინფორმაციის მოპოვების მიზნით, რაც გამოავლენს საერთო ძლიერ მხარეებს და გასაუმჯობესებელ სფეროებს (კომპონენტი 2.2);	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 10: რეკომენდებულია უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბოს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, მოწვეული, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრების და რესურსების (მაგ. ბიბლიოთეკის) კვლევების განხორციელების და განხილვის უფრო სისტემატური ყოველწლიური გრაფიკი. პროგრესზე დაკვირვების და ტენდენციების იდენტიფიცირების მიზნით აუცილებელია აღნიშნული კვლევების შედეგების სისტემატური ანალიზი და ყოველწლიური შედარება. აღნიშნული რეგულარული შეფასება უზრუნველყოფს უწყვეტ	რეკომენდაცია შესრულებულია

გაუმჯობესებას და უნივერსიტეტის მიზნებთან და სტანდარტებთან შესაბამისობას (კომპონენტი 2.2);	
რეკომენდაცია 11: უფრო მოქნილი და მოსახერხებელი გამოცდილების უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია, რომ კითხვარების შევსება არ იყოს სავალდებულო მხოლოდ ზოგიერთი სტუდენტისთვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს ყველა სტუდენტის ნებაყოფლობით და ჭეშმარიტ უკუკავშირს, სხვა მნიშვნელოვან აკადემიურ ინფორმაციაზე მათი წვდომის შეზღუდვის გარეშე (კომპონენტი 2.2);	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 12: რეკომენდებულია, უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარების გაძლიერება სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამებისთვის (კომპონენტი 3.2);	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 13: რეკომენდებულია, მისაღებ გამოცდაზე ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტის გაძლიერება, ან გასაუბრების ჩატარება, ან მოთხოვნებში ნაშრომის შესრულების კომპონენტის დანერგვა (კომპონენტი 3.2);	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 14: რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს და განახორციელოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ინდივიდუალური შეფასების მექანიზმი (კომპონენტი 4.1);	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 15: რეკომენდებულია, სამიზნე ნიშნულების ჩამოყალიბება არა მხოლოდ ფაკულტეტის / სკოლის დონეზე, არამედ უნივერსიტეტის დონეზე, რომელიც მოთხოვნილია თვითშეფასების ანგარიშის შაბლონით (კომპონენტი 4.1);	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 17: რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტები მარტივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე (კომპონენტი 4.2);	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 18: რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს საერთაშორისო სტუდენტების სათანადო დონეზე ინფორმირება სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ, იმისათვის რომ ჰქონდეთ შესაძლებლობა გამოიყენონ თავიანთი უფლება აირჩიონ ან იყვნენ არჩეულები თვითმმართველობის წევრებად (კომპონენტი 5.1);	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 19: სტიპენდიებთან დაკავშირებული პროცესების ფორმალიზება და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი სტანდარტის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუდენტებისთვის.	რეკომენდაცია შესრულებულია

რეკომენდაცია 20: რეკომენდებულია დოქტორანტების ხელმძღვანელებისთვის მენტორული მხარდაჭერის და ტრენინგების უზრუნველყოფა.	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 21: უნივერსიტეტმა დოქტორანტების ინგლისური ენის ცოდნის დონის დადგენის მიზნით ხელახლა განახორციელოს ინგლისური ენის გამოცდა;	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 22: რეკომენდებულია სხვადასხვა ფაკულტეტებს და კვლევით ცენტრებს შორის თანამშრომლობითი, მულტიდისციპლინური კვლევითი აქტივობების ჩამოყალიბება;	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 23: რეკომენდებულია არსებითად გაიზარდოს გამოქვეყნებები და წვლილი (კონტრიბუცია) მაღალი ხარისხის ჟურნალებში (ერთზე მეტი ინფექტ ფაქტორი, Q1 ან Q2 "scimago" ჟურნალების კლასიფიკაციის მიხედვით);	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდებულია 24: დაზუსტდეს სადოქტორო ნაშრომის დაცვის წინაპირობები, მათ შორის სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების მოთხოვნა Web of Science ან Scopus - ის მონაცემთა ბაზების მიერ ინდექსირებულ ჟურნალებში, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების დოქტორანტებისთვის ERIH Plus მონაცემთა ბაზაში;	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 25 რეკომენდებულია დოქტორანტისთვის ხელმძღვანელის დანიშვნის პროცედურის გაუმჯობესება. დანიშნულ პროფესორს ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი სამეცნიერო აქტივობები, რომელიც დაკავშირებული იქნება სადისერტაციო თემასთან, გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს სტატიები Web of Science ან Scopus მონაცემთა ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში, ხოლო ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით ERIH Plus მონაცემთა ბაზაში;	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 26: რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს ეფექტური სტრატეგია და წახალისების სისტემა კვლევის მხარდაჭერის მიზნით ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 27: რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის და მკვლევრების შესრულების შედეგების მიზნით გამოიყენოს ისეთი საზომი, როგორიც არის ციტირების რაოდენობის გამოთვლა, FWCI, i10;	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 28: რეკომენდებულია, დაწესებულებამ გამოიყენოს კვლევის ხარისხის ეფექტურობის შეფასების ანალიზი ახალი კვლევითი სტრატეგიის დასაგეგმად სამომავლო განვითარების მიზნით.	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 29: რეკომენდებულია დაწესებულებამ მოამზადოს დაწესებულების ყველა შენობის და დაკავშირებული	რეკომენდაცია შესრულებულია

ინფრასტრუქტურის დეტალური სარემონტო გეგმა (ლაბორატორიების, სანიტარული კვანძების, ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის, სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს, კვების ობიექტების), (მაქსიმუმ სამი წელი) და განსაზღვროს სავარაუდო ბიუჯეტი (კომპონენტი 7.1);	
რეკომენდაცია 30: რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა თითოეულ შენობაში უზრუნველყოს საევაკუაციო გეგმა და განათავსოს სპეციალური ნიშნები (კომპონენტი 7.1);	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 31: რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა თითოეულ შენობაში გამოყოს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (კომპონენტი 7.1);	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 32: რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სასწავლო პროცესში როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვის უნდა გაითვალისწინოს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების პროცედურები (კომპონენტი 7.1);	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 33: რეკომენდებულია, ბიბლიოთეკაში უზრუნველყოფილი იყოს ოთახები ჯგუფური პროექტებისთვის (კომპონენტი 7.2);	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 34: რეკომენდებულია, ორფაქტორიანი ავთენტიფიკაციის დანერგვა (კომპონენტი 7.3);	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 35: რეკომენდებულია, კომპიუტერებში მოძველებული კიბერ - რისკის ოპერაციული სისტემის შეცვლა (კომპონენტი 7.3);	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 36: რეკომენდებულია, ქსელებზე უკანონო წვდომის საწინააღმდეგო პროგრამის დაყენება (კომპონენტი 7.3);	რეკომენდაცია შესრულებულია
რეკომენდაცია 37: რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მოამზადოს სტრატეგიული / სამოქმედო გეგმა შენობების, ინფრასტრუქტურის და ლაბორატორიების რეაბილიტაციის / რემონტის შესაბამისი ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური რესურსების მოძიების მიზნით, რეკომენდებულია ფინანსური გეგმის გადახედვა და ეფექტურობის შეფასების მიზნით ძირითადი შესრულების ინდიკატორების გამოყენება (კომპონენტი 7.4).	რეკომენდაცია შესრულებულია

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

- რეკომენდაციები შესრულებულია

რჩევები

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისია მოთხოვნებს
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1 უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2 სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☒	☐	☐	☐
2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	☐	☐
3. საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☐	☐
3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3 სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	☐	☐
4. უსდ-ის პერსონალი	☒	☐	☐	☐
4.1 პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2 აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
5.1 სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.1 კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2 კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☒	☐	☐	☐
6.3 კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐


7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები


სახელი, გვარი (თავმჯდომარე)
დავით სიხარულიძე



სახელი, გვარი (წევრი)
თამთა ცხოვრებაძე



სახელი, გვარი (წევრი)
ნინო მინდიაშვილი



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე. რეკომენდაცია 1: რეკომენდებულია, დაწესებულებამ მკაფიოდ განსაზღვროს სტუ-ს საქმიანობის სტრატეგიული ორიენტირი მისიის დოკუმენტით განსაზღვრული ოთხი საყრდენის შესაბამისად (კომპონენტი 1.1); მისიის დოკუმენტი მიუთითებს ოთხ საყრდენზე: - კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება (განათლება) - კვლევების, განათლებისა და ტექნოლოგიების ახალი შესაძლებლობების შეთავაზება (კვლევა და ინოვაცია)

3. ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის ხელშეწყობა (სოციალური როლი)

4. საერთაშორისო ეკოსისტემაში ინტეგრირება (ინტერნაციონალიზაცია)

სტრატეგიული მიმართულებები კი შვილია: 1. ორგანიზაციული განვითარება, 2. ხარისხის უზრუნველყოფა. 3 სწავლა-სწავლება, 4. კვლევა და ინოვაცია, 5. ინტერნაციონალიზაცია. 6. სტუდენტური ცხოვრება. 7. სოციალური პასუხისმგებლობა

მისიაში ხსენებული პირველი საყრდენი, რომელიც მოიცავს კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, პირდაპირ აისახება სწავლა-სწავლების სტრატეგიულ მიმართულებაში. ამასთან, ეს საყრდენი ასევე დაკავშირებულია ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებასთან, რადგან სწორედ ხარისხის სტანდარტები უზრუნველყოფს სპეციალისტების კონკურენტუნარიანობას. სტუდენტური ცხოვრების მიმართულებაც ამ საყრდენის განხორციელებას ემსახურება, რადგან სრულფასოვანი განათლება მხოლოდ აკადემიური ცოდნის გადაცემით არ შემოიფარგლება, არამედ სტუდენტის კომპლექსურ განვითარებას გულისხმობს.

მისიის მეორე საყრდენი, რომელიც ეხება კვლევების, განათლებისა და ტექნოლოგიების ახალი შესაძლებლობების შეთავაზებას, უშუალოდ ვლინდება კვლევისა და ინოვაციის სტრატეგიულ მიმართულებაში. ეს საყრდენი განათლების კომპონენტის გამო ასევე თავსდება სწავლა-სწავლების მიმართულებას, რაც კვლევისა და სწავლების ურთიერთდაკავშირებულობას ხაზს უსვამს.

მესამე საყრდენი, რომელიც ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის ხელშეწყობას ითვალისწინებს, პირდაპირ კორელირებს სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიულ მიმართულებასთან. ეს საყრდენი ასევე კვლევისა და ინოვაციის მიმართულებასთანაა დაკავშირებული, რადგან სწორედ ინოვაციები და სამეცნიერო კვლევები წარმოადგენენ ეკონომიკური განვითარების ძირითად კატალიზატორს თანამედროვე პირობებში.

მეოთხე საყრდენი, რომელიც საერთაშორისო ეკოსისტემაში ინტეგრირებას და ინოვაციურ საქმიანობას მოიცავს, უშუალოდ ასახულია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიულ მიმართულებაში. ეს კავშირი ყველაზე უფრო გამჭვირვალე და პირდაპირია.

სტრატეგიული მიმართულებებიდან ორგანიზაციული განვითარება და ხარისხის უზრუნველყოფა განსაკუთრებულ როლს თამაშობენ, რადგან ისინი არა თავისთავად მიზანს წარმოადგენენ, არამედ უზრუნველყოფენ საფუძველს მისიაში ჩამოყალიბებული ოთხივე საყრდენის ეფექტურად განსახორციელებლად. ორგანიზაციული განვითარება ქმნის სტრუქტურულ და ინსტიტუციურ წინაპირობებს, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფა გარანტიას იძლევა, რომ ყველა საქმიანობა შესაბამის სტანდარტებს აკმაყოფილებს.

რეკომენდაცია 2: რეკომენდებულია, მისიის განაცხადი დაკავშირებული იყოს მიზნებთან, იმისათვის რომ შესაძლებელი იყოს მათი მონიტორინგი და გაზომვა (კომპონენტი 1.1);

უსდ-ს შემუშავებული აქვს OKR სისტემა სადაც მოცემულია სტრატეგიული მიზნები. დოკუმენტში აჩვენებს მიზანსა და საქმიანობებს შორის კავშირს. თითოეული სტრატეგიული მიმართულება სტრუქტურირებულია შემდეგნაირად: სტრატეგიული მიმართულება, შემდეგ მიზნები, შემდეგ კი კონკრეტული საკვანძო შედეგები რაოდენობრივი ინდიკატორებით. მაგალითად, ორგანიზაციული განვითარების მიმართულებაში გაწერილია მიზანი მართვის ეფექტიანობის ამაღლების შესახებ, ხოლო მის ქვეშ მოცემულია კონკრეტული საკვანძო შედეგები, როგორიცაა ბიზნეს პროცესების გაუმჯობესება და OKR სისტემის დანერგვა კონკრეტული რაოდენობრივი მაჩვენებლებით. ასევე, ყველა საკვანძო შედეგისთვის მითითებულია შესრულების ინდიკატორები, რომლებიც საშუალებას იძლევა შედეგების გაზომვა და მონიტორინგი.

რეკომენდაცია 3: რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული

მხარის ჩართულობა მისიის შემუშავების პროცესში (კომპონენტი 1.1); დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ დაინტერესებული მხარეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ჩართული იყვნენ მისიის შემუშავების პროცესში. მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სტუ OKR სისტემა (2025-2027) • სტუ-ის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა 2025-2027 • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2025-2027 წლების სტრატეგიული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე დადგენილება • უსდ-ს მისია. • გასაუბრების შედეგები რეკომენდაციები: • რეკომენდაცია შესრულებულია რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება ○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე. რეკომენდაცია 4: რეკომენდებულია, 7 სტრატეგიული მიმართულების ხარისხობრივი საზომის განსაზღვრა და მათი დაკავშირება პრიორიტეტებთან (კომპონენტი 1.2); უსდ-ს მიერ შემუშავებულია 2025-2027 წლების სტრატეგიულ გეგმა, რომელიც აგებულია OKR (Objectives and Key Results) მეთოდოლოგიაზე. დოკუმენტი მოიცავს შვიდ სტრატეგიულ მიმართულებას, რომელთაგან თითოეული შედგება რამდენიმე მიზნისგან და შესაბამისი საკვანძო შედეგებისგან. პირველი მიმართულება ეთმობა ორგანიზაციულ განვითარებას და მოიცავს ექვს ძირითად მიზანს. მართვის ეფექტიანობის ამაღლების ფარგლებში დაგეგმილია ბიზნეს პროცესების გაუმჯობესება და OKR სისტემის საპილოტე ვერსიის ამოქმედება 2026 წლის ბოლომდე სტრუქტურული ერთეულების 30 პროცენტში, ხოლო სრული დანერგვა მოხდება 2027 წლისთვის. ხარჯთაღეჭტურობის მიზნის ფარგლებში დაგეგმილია ოპერაციული ხარჯების 10 პროცენტით შემცირება 2024 წლის საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით. ადამიანური კაპიტალის განვითარების მიმართულებით გაწერილია თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, სადაც სამიზნეა დამხმარე პერსონალის 70 პროცენტის გადამზადება, ასევე კვალიფიციური კადრების გადინების 5 პროცენტით შემცირება. საზოგადოებასთან კომუნიკაციის დამყარებისთვის დაგეგმილია სოციალურ მედიაში გამომწერების 30 პროცენტით ზრდა და ჩართულობის 15 პროცენტით გაუმჯობესება. კომერციული საქმიანობის განვითარების ფარგლებში დაგეგმილია დამატებითი შემოსავლების 10

პროცენტით გაზრდა საკონტრაქტო კვლევების, ტრენინგების და კონსულტაციების მეშვეობით, ხოლო კერძო სექტორთან ერთობლივი პროექტების რაოდენობა უნდა გაიზარდოს 30 პროცენტით. ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით დაგეგმილია უნივერსიტეტის შენობების 80 პროცენტის უსადენო ინტერნეტით უზრუნველყოფა და სასწავლო აუდიტორიების 60 პროცენტის მოდერნიზება.

მეორე სტრატეგიული მიმართულება ფოკუსირებულია ხარისხის უზრუნველყოფაზე და მოიცავს სამ ძირითად მიზანს. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განახლების ფარგლებში დაგეგმილია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიის განახლება და ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშების სისტემაში 30 პროცენტით ინტეგრირება. სისტემის სრულყოფილი იმპლემენტაციის ფარგლებით გაწერილია სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებლის თითო 0.5 ერთეულით გაზრდა ხუთბალიან სკალაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის განვითარების მიზანია უნივერსიტეტის თანამშრომელთა 95 პროცენტის მხრიდან ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპების გააზრება და მხარდაჭერა, ასევე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით ორი ტრენინგის, ორი ვორქშოპის და ერთი კონფერენციის ორგანიზება.

მესამე მიმართულება ეთმობა სწავლა-სწავლების საკითხებს და მოიცავს ოთხ მიზანს. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის განვითარების ფარგლებში დაგეგმილია პირველი და მეორე საფეხურის პროგრამების 70 პროცენტის განახლება და რვა პროგრამის საერთაშორისო აკრედიტაციისთვის წარდგენა. სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით დაგეგმილია სასწავლო კურსების შეფასების საშუალო ქულის 4.0-მდე გაზრდა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება.

პროფესიული განათლების გაძლიერების ფარგლებში დაგეგმილია პროფესიული პროგრამების რაოდენობის 20 პროცენტით ზრდა, საწარმოო პრაქტიკის 10 პროცენტით გაზრდა და პარტნიორი კომპანიების რაოდენობის ზრდა, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების 15 პროცენტით გაზრდა. ახალგაზრდა ინოვაციორების გენერაციის მიზნით დაგეგმილია ორი დამატებითი ინოვაციური სივრცის შექმნა და სტუდენტების ჩართულობის 30 პროცენტით ზრდა.

მეოთხე მიმართულება ფოკუსირებულია კვლევაზე და ინოვაციაზე. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ფარგლებში დაგეგმილია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების 25 პროცენტით ზრდა, საგრანტო და კონტრაქტული დაფინანსების 20 პროცენტით გაზრდა და საერთაშორისო კონფერენციების 30 პროცენტით ზრდა.

მეხუთე მიმართულება ეთმობა ინტერნაციონალიზაციას. დაგეგმილია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის განახლება ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში, უნივერსიტეტის ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსიის სრული განახლება და უცხოელი მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლის 4.0-მდე გაზრდა. საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციის ფარგლებში დაგეგმილია ერაზმუს პროგრამაში მონაწილეთა 30 პროცენტით ზრდა, ორი ერთობლივი ხარისხის პროგრამის შემუშავება და ტოპ 50 ევროპულ უნივერსიტეტთან მემორანდუმების გაფორმება. უცხოელი სტუდენტების რაოდენობის 30 პროცენტით ზრდა და მათი კმაყოფილების 3.5-დან 4.2-მდე გაზრდა ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან მიზანს.

მექვსე მიმართულება ეხება სტუდენტურ ცხოვრებას. შემეცნებითი გარემოს განვითარების ფარგლებში დაგეგმილია საბიბლიოთეკო ფონდის 15 პროცენტით გაზრდა და ციფრულ რესურსებზე წვდომის 95 პროცენტით გაზრდა, ასევე შემეცნებითი ღონისძიებების 25 პროცენტით ზრდა. ჯანსაღი სტუდენტური გარემოს შექმნის მიზნით დაგეგმილია სტუდენტური ავტონომიისა და სტუდენტური ორგანიზაციების აქტივობებში ჩართულობის 20 პროცენტით ზრდა.

მეშვიდე მიმართულება ეთმობა სოციალურ პასუხისმგებლობას. დაგეგმილია სოციალური პასუხისმგებლობის პროექტების რაოდენობის 20 პროცენტით ზრდა, როგორც სოციალურად პასუხისმგებელი ინსტიტუციის აღქმის ქულის 3.5-დან 4.2-მდე გაზრდა და თანამშრომლებისა და სტუდენტების მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართულობის 15 პროცენტით ზრდა.

დოკუმენტის სტრუქტურა მკაფიოდ გამოხატავს OKR მეთოდოლოგიის გამოყენებას, სადაც თითოეული მიზანი დაკავშირებულია კონკრეტულ, გაზომვად შედეგებთან და განსაზღვრულია პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები. ყველა მაჩვენებელი ორიენტირებულია 2025-2027 წლების პერიოდზე და დაფუძნებულია 2024 წლის საბაზისო მონაცემებზე, რაც უზრუნველყოფს მიღწევების ობიექტურ შეფასებას.

რეკომენდაცია 5: რეკომენდებულია, 7 სტრატეგიული მიმართულებიდან სტრუქტურული ერთეულებისთვის ურთიერთკავშირის რუკების მიწოდება (კომპონენტი 1.2);

უსდ-ს შემუშავებული აქვს დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის სამუშაო პროცესს, რომელიც აწარმოებს სტრატეგიული დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის ფუნქციებს. დოკუმენტი დამტკიცებულია ხარისხის მართვის სისტემის მიხედვით და შესაბამება ISO 9001 სტანდარტს.

პროცესის ძირითადი მიზანია უნივერსიტეტის სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება და განხორციელების უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს სტრატეგიული გეგმის, კორპორატიული კულტურის, კონკურენტული უპირატესობების განსაზღვრას და უნივერსიტეტის მოკლევადიანი შესაბამისობაში მოყვანას სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებას კანონმდებლობით დადგენილ წესით.

დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი სამუშაო პროცესის აღწერა და ამოცანები, რომელიც მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან ეტაპს. პირველი ეტაპი ეხება სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებას და შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრატეგიული ერთეულის გენერირებას. მეორე ეტაპი მოიცავს გარემოს ძირითად ანალიზს, სადაც ხდება განათლების სისტემის, ბაზრისა და ინოვაციების გაანალიზება SWOT ანალიზის საფუძველზე.

მესამე მნიშვნელოვანი ელემენტი არის უნივერსიტეტის სამომავლო ხედვის ფორმირება. ამ ეტაპზე საუნივერსიტეტო საზოგადოება მუშაობს უნივერსიტეტის გრძელვადიანი ხედვის და მისიის განსაზღვრაზე, რომელიც უნდა ასახავდეს უნივერსიტეტის სტრატეგიული დოკუმენტების მრავალფეროვან ხასიათს. განსაზღვრული მიზნები ხდება მოკლევადიანი პერიოდის პრიორიტეტების, სამოქმედო გეგმების და მისაღწევი შედეგების განსაზღვრის საფუძველი.

მეოთხე ეტაპი ეხება მიმართულებებისა და მიზნების ჩამოყალიბებას. შემოთავაზებული მიმართულებები მოიცავს განათლების სტრატეგიასა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მიმართულებებისა და მიზნების ჩამოყალიბებას აკადემიურ საბჭოზე განსახილველად.

მეხუთე ეტაპი ეხება გენერირების სტრატეგიის დოკუმენტების შემუშავებას. უნივერსიტეტის მიმართულებები და მიზნების ჩამოყალიბების შემდეგ სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური აღმოჩენს სასურველი სტრატეგიული ერთეულების საფუძველზე თითოეული სტრატეგიული ერთეულისთვის კონკრეტულ პროექტებს და მოსალოდნელ შედეგებს, რომელიც განსახილველი უნდა იყოს ადმინისტრაციის სხდომაზე და სხვა შესაბამისებულ ორგანოში.

მექვსე ეტაპი არის სტრატეგიული დოკუმენტების გამოქვეყნება, სადაც უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგია ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მეშვიდე ეტაპი ეხება სამომავლო გეგმის შესრულების მონიტორინგს. სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური წელიწადში ორჯერ გამოიყენება მონიტორინგის შესაბამისად, რაც უნდა იყოს არსებული დოკუმენტის კორექტირების ინიციატორები და აკადემიურ საბჭოსთან მონიტორინგის ანგარიშის წარდგენა.

დოკუმენტში მოცემულია აგრეთვე პასუხისმგებლების დაკისრება, სადაც მითითებულია რა სტრუქტურული ერთეულები არიან პასუხისმგებელი თითოეულ ეტაპზე. ასევე მოცემულია სამუშაო პროცესის ბლოკ-სქემები, რომლებიც ვიზუალურად წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვისა და მონიტორინგის ბლოკ-სქემას, უნივერსიტეტის სამომავლო გეგმის შესრულების მონიტორინგის ბლოკ-სქემას და სტრატეგიული ერთეულების საპროგრამო სამომავლო გეგმების შემუშავების ბლოკ-სქემას.

თითოეული ბლოკ-სქემა დეტალურად აღწერს თანმიმდევრულ ნაბიჯებს, გადაწყვეტილების მიღების პუნქტებს და შესაბამის პასუხისმგებელ სტრუქტურებს. ეს უზრუნველყოფს პროცესის სისტემატურობას და გამჭვირვალობას, რაც აუცილებელია ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის და სტრატეგიული მიზნების მიღწევისთვის.

დოკუმენტში ნათლად ჩანს ურთიერთკავშირი სტრატეგიული მიმართულებებისა და სტრუქტურული ერთეულების მიერ შესასრულებელ ამოცანებს შორის. დოკუმენტის მეხუთე ნაწილში, რომელიც ეხება

"სტრატეგიული ერთეულების სტრატეგიის შემუშავებას", აღწერილია რომ სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურმა უნივერსიტეტის მიმართულებებისა და მიზნების ჩამოყალიბების შემდეგ, კონკრეტული სტრატეგიული ერთეულებისთვის უნდა განსაზღვროს სასურველი სტრატეგიული ერთეულების საფუძველზე კონკრეტული პროექტები და მოსალოდნელი შედეგები.

უფრო მეტიც, დოკუმენტში მოცემულია კონკრეტული მითითება OKR (Objectives and Key Results) დოკუმენტთან დაკავშირებით. მეოთხე გვერდზე, სამსახურის ფუნქციები და ამოცანების ნაწილში, პირდაპირ არის მითითებული ბმული OKR (Objectives and Key Results) -ის სტრატეგიულ დოკუმენტზე, სადაც მოცემულია შვიდი სტრატეგიული მიმართულება და შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები.

ამრიგად, OKR (Objectives and Key Results) და სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის სამუშაო პროცესის დოკუმენტი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული - პირველი დოკუმენტი განსაზღვრავს სტრატეგიულ მიმართულებებს, მიზნებს და პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს, ხოლო მეორე დოკუმენტი აღწერს პროცესს, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ სტრატეგიული მიმართულებების ოპერაციულ დონეზე დამლა და კონკრეტულ სტრუქტურულ ერთეულებში განაწილება.

რეკომენდაცია 6: რეკომენდებულია, ყველა სტრუქტურული ერთეულის მონიტორინგი და შეფასება უმაღლეს დონეზე (კომპონენტი 1.2);

სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის სამუშაო პროცესის დოკუმენტში წარმოდგენილია მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის მე-7 ნაწილში, რომელიც ეხება "სამომავლო გეგმის შესრულების მონიტორინგს", აღწერილია რომ სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგს წელიწადში ორჯერ. გამოყენებული საპილოტე ინიციატივების შეფასებისა და აკადემიურ საბჭოსთან მონიტორინგის ანგარიშის წარდგენას.

აგრეთვე, დოკუმენტის მე-8 და მე-9 გვერდებზე მოცემულია დეტალური ბლოკ-სქემები, რომლებიც აღწერენ:

1. **უნივერსიტეტის დაგეგმვის პროცესის ბლოკ-სქემას** (გვ. 9) - სადაც ნაჩვენებია როგორ ხდება სტრატეგიული დოკუმენტების მომზადება და შემუშავება.
2. **უნივერსიტეტის სამომავლო გეგმის შესრულების მონიტორინგის ბლოკ-სქემას** (გვ. 10) - სადაც კონკრეტულადაა აღწერილი როგორ ხდება სტრატეგიული გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, მათ შორის ყველა სტრუქტურული ერთეულისთვის.

ეს მონიტორინგის პროცესი ითვალისწინებს სტრატეგიული ერთეულების პროგრესის თვალყურის დევნებას, ანგარიშების მომზადებას და წარდგენას უმაღლეს დონეზე - აკადემიურ საბჭოზე, რაც უზრუნველყოფს სისტემატურ კონტროლს და გადაწყვეტილების მიღებას უმაღლეს მენეჯმენტულ დონეზე. უსდ-ს ასევე წარმოდგენილი აქვს მონიტორინგის შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- OKR (Objectives and Key Results) და სამართლებრივი უზრუნველყოფისა
- სტრატეგიული განვითარების სამსახურის სამუშაო პროცესის დოკუმენტი
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის მოსაზრება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშთან დაკავშირებით.
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის ანგარიში
- აკადემიური პერსონალის ვალდებულებების მონიტორინგის აუდიტის დასკვნები
- სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში
- სტრუქტურული ერთეულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- შიდა აუდიტის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- შიდა აუდიტის 2025 წლის სამოქმედო გეგმა

• გასაუმჯობესებელი შედეგები
რეკომენდაციები: • რეკომენდაცია შესრულებულია
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
რეკომენდაცია 7: დაწესებულებას აქვს დიდი რაოდენობით ფაკულტეტები (ასევე, რამოდენიმე ფაკულტეტზე არის დეპარტამენტების დიდი რაოდენობა) და კვლევითი ინსტიტუტები. რეკომენდებულია, ფაკულტეტების და კვლევითი ინსტიტუტების რაოდენობის ოპტიმიზაცია და შესაბამისად ფაკულტეტების სახელწოდებების შეცვლა (კომპონენტი 2.1); უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ვებგვერდზე საჯაროდ განთავსებული ინფორმაციისა და ინტერვიუებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ უნივერსიტეტში ავტორიზაციის შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის კომპონენტის ერთ-ერთი რეკომენდაციის შესაბამისად - “დაწესებულებას აქვს დიდი რაოდენობით ფაკულტეტები (ასევე, რამოდენიმე ფაკულტეტზე არის დეპარტამენტების დიდი რაოდენობა) და კვლევითი ინსტიტუტები. რეკომენდებულია, ფაკულტეტების და კვლევითი ინსტიტუტების რაოდენობის ოპტიმიზაცია და შესაბამისად ფაკულტეტების სახელწოდებების შეცვლა”, ინსტიტუტმა იმუშავა ოპტიმიზაციის მიმართულებით და ფაკულტეტების რაოდენობა შემცირა 13-დან 11-მდე. ცვლილებები შეეხო სამთო-გეოლოგიურ და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტებს, მათი გაერთიანების შედეგად, შეიქმნა სამთო-გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტი. ხოლო, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის და აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტების ნაცვლად, რესურსების გაერთიანებით, ჩამოყალიბდა ახალი ფაკულტეტი - აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიის.

რესტრუქტურიზაციის ფარგლებში, ცვლილებები განიცადა აკადემიურმა დეპარტამენტებმაც, როგორც სახელწოდების, ასევე მათი ფუნქციების დონეზეც:

გაერთიანდა ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე არსებული გამოთვლითი მათემატიკის და მათემატიკის დეპარტამენტები. გაერთიანდა სამშენებლო ფაკულტეტზე არსებული სამშენებლო მანქანების და სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ტექნოლოგიების და საშენი მასალების აკადემიური დეპარტამენტები და შეერთებით ჩამოყალიბდა სამრეწველო მშენებლობის ტექნოლოგიების და საშენი მასალების აკადემიური დეპარტამენტი. ასევე, მშენებლობის კომპიუტერული დაპროექტების და აგული სოხადის სახელობის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის აკადემიური დეპარტამენტების რეორგანიზაცია განხორციელდა და მათი შეერთებით ჩამოყალიბდა სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის აკადემიური დეპარტამენტი. გაერთიანდა სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტზე არსებული სარკინიგზო ტრანსპორტის და საავტომობილო ტრანსპორტისა და ლოგისტიკის აკადემიური დეპარტამენტები და ჩამოყალიბდა ტრანსპორტისა და ლოგისტიკის აკადემიური დეპარტამენტი. გაერთიანდა ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე არსებული ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის და სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერიის აკადემიური დეპარტამენტები და მათ ზაზაზე ჩამოყალიბდა ქიმიური, ბიოლოგიური და სასურსათო ტექნოლოგიების აკადემიური დეპარტამენტი. ფაკულტეტებისა და აკადემიური დეპარტამენტების დონეზე განხორციელებული ცვლილებების გარდა, განხორციელდა უნივერსიტეტის სტრუქტურული რეორგანიზაციაც ადმინისტრაციული სტრუქტურული ფაკულტეტებისა და აკადემიური დეპარტამენტების დონეზე განხორციელებული ცვლილებების გარდა, განხორციელდა უნივერსიტეტის სტრუქტურული რეორგანიზაციაც ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების გაერთიანებისა და რესურსების ოპტიმიზაციის მიზნით. შეფასების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან განხორციელებული ინტერვიუებით, დადგინდა, რომ ინსტიტუციამ უზრუნველყო კოორდინირებული პროცესის მიმდინარეობა ცვლილებების დაგეგმვისა და იმპლემენტაციის პროცესში, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით განისაზღვრა წარმოქმნილი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და მოვალეობები და ინფორმაცია მიეწოდათ შესაბამის პირებს. შესაბამისად, უსდ-ის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობა ნათლად არის ჩამოყალიბებული და გამიჯნული.

რეკომენდაცია 8: რეკომენდებულია, კვლევითი ცენტრების როლის ჩამოყალიბება და მათი ურთიერთკავშირი აკადემიურ დეპარტამენტებთან (კომპონენტი 2.1);

რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას კვლევითი ცენტრების როლის ჩამოყალიბებასა და მათ ურთიერთკავშირთან აკადემიურ დეპარტამენტებთან, ინსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების პარალელურად, აქტიურია კვლევითი ცენტრების როლი და ჩართულობა აკადემიურ საქმიანობაშიც. თანამშრომლობითი მიდგომების შესაბამისად, კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები მონაწილეობენ არა მხოლოდ ახალი ცოდნის შექმნის, არამედ გაზიარების მიმართულებით, ჩართულნი არიან სალექციო პროცესში, ხელმძღვანელობენ სადოქტორო ნაშრომებს და ახორციელებენ ერთობლივ სამეცნიერო-საგრანტო პროექტებს. ცენტრების საქმიანობაში ჩართული და სხვა დაინტერესებული პირები, იცნობენ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, მათ მისიას და აქტივობებს სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებები სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და სენატის სხდომის ოქმები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: gtu.edu.ge
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
○ უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. ○ უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.
წინა შეფასების ფარგლებში, ინსტიტუციამ მიიღო რამდენიმე რეკომენდაცია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კვლევებისა და ანალიზის კერძოდ: რეკომენდაცია 9: რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ჩაატაროს ყოვლისმომცველი ანალიზი, რომელიც გააერთიანებს ყველა ფაკულტეტის მონაცემებს, საერთო აკადემიური მოსწრების და ტენდენციების შესახებ ღირებული ინფორმაციის მოპოვების მიზნით, რაც გამოავლენს საერთო ძლიერ მხარეებს და გასაუმჯობესებელ სფეროებს (კომპონენტი 2.2); რეკომენდაცია 10: რეკომენდებულია უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბოს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, მოწვეული, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრების და რესურსების (მაგ. ბიბლიოთეკის) კვლევების განხორციელების და განხილვის უფრო სისტემატური ყოველწლიური გრაფიკი. პროგრესზე დაკვირვების და ტენდენციების იდენტიფიცირების მიზნით აუცილებელია აღნიშნული კვლევების შედეგების სისტემატური ანალიზი და ყოველწლიური შედარება. აღნიშნული რეგულარული შეფასება უზრუნველყოფს უწყვეტ გაუმჯობესებას და უნივერსიტეტის მიზნებთან და სტანდარტებთან შესაბამისობას (კომპონენტი 2.2); რეკომენდაცია 11: უფრო მოქნილი და მოსახერხებელი გამოცდილების უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია, რომ კითხვარების შევსება არ იყოს სავალდებულო მხოლოდ ზოგიერთი სტუდენტისთვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს ყველა სტუდენტის ნებაყოფლობით და ჭეშმარიტ უკუკავშირს, სხვა მნიშვნელოვან აკადემიურ ინფორმაციაზე მათი წვდომის შეზღუდვის გარეშე (კომპონენტი 2.2); ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები უნივერსიტეტის სტრატეგიული მენეჯმენტის ნაწილია და საუნივერსიტეტო საქმიანობაში მონაწილე ყველა რგოლი ეფექტურად არის ჩართული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დანერგვაში. მუდმივი სრულყოფისა და განვითარების პროცესი უსდ-ში წარმოდგენილია, როგორც ურთიერთდაკავშირებული ქვეპროცესების კომპლექსი, რომელიც მოიცავს: • ინფორმაციის შეგროვებას, აღრიცხვასა და სისტემატიზაციას; • ინფორმაციის ანალიზს, პრობლემების გამოკვეთას და საკითხის დასმას; • პრობლემების გადასაჭრელი ღონისძიებების შემუშავებას და განხორციელებას; • განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობის გაზომვას და ანალიზს. შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისა და სამსახურების მიერ გროვდება და ხარისხის მართვის მენეჯერს მიეწოდება ინფორმაცია ხარისხის პროცესების გამოვლენილი შეუსაბამოებები, განხორციელებული

ღონისძიებებისა და ორგანიზაციის ხმს-ის ფუნქციონირების შესახებ. უნივერსიტეტის ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კი ახორციელებს პერიოდულ ანალიზს კვლევებისა და კვლევის შედეგების ეფექტიანობის დასადგენად.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“ -ს ხარისხის სისტემის ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტი ადგენს ძირითადი პროცესების ჩამონათვალს, მათი მონიტორინგისა და გაზომვების პერიოდულობას და კრიტერიუმებს. სამსახურში ასევე შემუშავებულია ყოველწლიური სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს, აქტივობის დამადასტურებელ შედეგებს, განხორციელების ვადებსა და პერიოდულ პროგრესს. შესაბამისად, ინსტიტუციას რეკომენდაციებთან მიმართებით დაგეგმილი აქვს ყოველისმომცველი კვლევებისა და ანალიზის წარმოება ყოველწლიურად, ციკლური და სისტემური მიდგომების გამოყენებით, უნივერსიტეტში სწავლების, კვლევისა და ადმინისტრაციული პროცესების მრავალგანზომილებიანი და კოორდინირებული შეფასება. საჭიროებებზე დაფუძნებული წლიური დაგეგმვისა და განგრძობადი მონიტორინგის ფარგლებში ხორციელდება საჭიროებების მოკვლევა, ანალიზისა და შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა საჭიროებისამებრ; მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და შეფასების პროცესებში დაინტერესებული მხარეებისა და თანამონაწილე სტრუქტურული ერთეულების ჩართულობას; მტკიცებულებაზე დაფუძნებულ უკუკავშირს. ინსტიტუციამ ასევე მხედველობაში მიიღო რეკომენდაცია სტუდენტთა კითხვარების

არასავალდებულო ხასიათთან მიმართებით და ამჟამად უნივერსიტეტში ყველა სტუდენტური კითხვარი არის არასავალდებულო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის სახელმძღვანელო
- კვლევისა და მონაცემთა ანალიზზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის წლიური სამუშაო ციკლი
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კითხვარების და ანგარიშები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: gtu.edu.ge
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები შესრულებულია

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.

○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
• არ შეფასდა
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
• არ შეფასდა
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. - ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
უსდ-ს განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსთან მიმართებით, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად: რეკომენდაცია 12: რეკომენდებულია, უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარების გაძლიერება სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამებისთვის (კომპონენტი 3.2); რეკომენდაცია 13: რეკომენდებულია, მისაღებ გამოცდაზე ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტის გაძლიერება, ან გასაუბრების ჩატარება, ან მოთხოვნებში ნაშრომის შესრულების კომპონენტის დანერგვა (კომპონენტი 3.2); საანგარიშო პერიოდში ინსტიტუციამ განახორციელა სადოქტორო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა სადოქტორო საფეხურის ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებთან, ასევე მხედველობაში მიიღო წინა შეფასებების ფარგლებში არსებული მიგნებები, საერთაშორისო გამოცდილება და ყველა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის დამცემის წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობა. ენის კომპეტენციის დადასტურება შესაძლებელია, ვალიდური აღიარებული სერტიფიკატის წარდგენით ან უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ინგლისური ენის გამოცდის შედეგებით. უსდ-მ გადახედა და შეიმუშავა მოთხოვნის შესაბამისი ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი ტესტი, რომელიც უკვე შეთავაზებული იქნა 2025 წელს სტუ-ს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველი კანდიდატებისათვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სტუდენტებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, ინსტიტუცია ხელს უწყობს მათი ინგლისური ენის ფლობის გაუმჯობესებას, სთავაზობს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, მოკლევადიან პროექტებსა და პროგრამებს და ასევე, სადოქტორო პროგრამების სტუდენტებისათვის ინტეგრირებულია ინგლისურენოვანი სტატიის გამოქვეყნების ვალდებულება საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად ჟურნალში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე - სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დამცემის წინაპირობები - ინგლისური ენის ცოდნის განმსაზღვრელი ტექსტის ნიმუში - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: gtu.edu.ge - განხორციელებული ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: რეკომენდაციები შესრულებულია
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.3 სწავლის შედეგების შეფასება
უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
არ შეფასდა
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა

- უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.
- უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

პერსონალის მართვასთან მიმართებით, წინა საავტორიზაციო შეფასების ფარგლებში, გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია 14: რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს და განახორციელოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ინდივიდუალური შეფასების მექანიზმი (კომპონენტი 4.1);

რეკომენდაცია 15: რეკომენდებულია, სამიზნე ნიშნულების ჩამოყალიბება არა მხოლოდ ფაკულტეტის / სკოლის დონეზე, არამედ უნივერსიტეტის დონეზე, რომელიც მოთხოვნილია თვითშეფასების ანგარიშის შაბლონით (კომპონენტი 4.1);

რეკომენდაცია 16: რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს ადმინისტრაციული / დამხმარე პერსონალის რაოდენობის ოპტიმიზაცია და გააუმჯობესოს ადმინისტრაციული / დამხმარე პერსონალის თანაფარდობა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან მიმართებით (კომპონენტი 4.1);

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა განახორციელა დამხმარე პერსონალის ატესტაცია სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დამხმარე პერსონალის ატესტაციის ჩატარების წესის შესაბამისად. აღნიშნული წესის თანახმად, ატესტაციას ექვემდებარება უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალი (გარდა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა), აგრეთვე, დამხმარე პერსონალთან გათანაბრებული შტატტარეშე პერსონალი. აღნიშნული პროცედურა ითვალისწინებდა პერსონალის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციისა და საქმიანობის შესაბამისობის შეფასებას დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან, ასევე მათ კარიერულ განვითარებასა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებების გამოვლენას, რომლის შედეგად თითოეული თანამშრომლის საქმიანობა შეფასდა საატესტაციო კომისიის მიერ დადგენილი კრიტერიუმებით. პროცედურა ასევე მოიცავდა კომპიუტერული უნარების შემოწმებას და გასაუბრებას დაკავებული პოზიციის შესაბამისობას.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ პერსონალს, ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება ხორციელდება ყოველწლიური საქმიანობის ანგარიშის შესაბამისად სენატის მიერ, უნივერსიტეტის კანცლერის წარდგინებით. უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის საქმიანობის კონტროლი და ინდივიდუალური შეფასება უზრუნველყოფილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ. უსდ-ს საჯაროდ აქვს განთავსებული პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს პრიორიტეტებს, პრინციპებსა და საჭიროებებს უნივერსიტეტის პერსონალთან მიმართებით. თუმცა, სასურველია პერსონალის მართვის პოლიტიკა ასევე მოიცავდეს ინფორმაციას პერსონალის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალის კლასიფიკაციის თაობაზე და ასევე თავმოყრილ ინფორმაციას პერსონალის დასაქმების, სამუშაო წესების, შრომის ეფექტიანობის შეფასების და რეაგირების თაობაზე.

უსდ-მ საანგარიშო პერიოდში შეიმუშავა საუნივერსიტეტო სამიზნე ნიშნულები, რომელიც მოთხოვნილია თვითშეფასების ანგარიშის შაბლონით. აღნიშნული სამიზნე ნიშნულები წარმოდგენილია თვითშეფასებაზე თანდართული დოკუმენტაციით და ინტერვიუების ფარგლებში, ასევე დადგინდა პერსონალის ინფორმირება სამიზნე ნიშნულების ჩამოყალიბების თაობაზე. სამიზნე ნიშნულები ასახავს ინსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების (მათ შორის სტრუქტურული) შედეგებს, ატესტაციის შედეგებსა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების პოტენციურ შედეგებს. ასევე რეკომენდაციასთან მიმართებით, დაზუსტებულ იქნა აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობები სხვადასხვა რაოდენობრივ ჭრილში და შესაბამისი სამიზნე ნიშნულები.

აღსანიშნავია, რომ წინა საავტორიზაციო შეფასების ფარგლებში ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა აღემატებოდა აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სრულ რაოდენობას (შეფარდება: 2071/2012), 2025 წლის ფაქტობრივი მდგომარეობით აღნიშნული შეფარდება მნიშვნელოვნად არის შეცვლილია 1235/1753, ხოლო 2027 წლის საპროგნოზო მაჩვენებელია - 1257/1753. ინსტიტუციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, სტრუქტურულმა რეორგანიზაციამ, ატესტაციის შედეგებმა და საანგარიშო პერიოდში ორგანიზებულ აკადემიურმა კონკურსებმა განაპირობა აღნიშნული თანაფარდობების ცვლილება. სასურველია, პროცესის სტრუქტურირებისა და ნიშნულების

შესაბამისობის მიზნით, ინსტიტუციამ შეიმუშავოს პერსონალის რაოდენობის მარეგულირებელი მეთოდოლოგია, როგორც ინსტიტუციური საჭიროებების, ასევე საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე • საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განსაზღვრის წესი • პერსონალის რაოდენობრივი სამიზნე ნიშნულები • სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დამხმარე პერსონალის ატესტაციის ჩატარების წესი • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: gtu.edu.ge • განხორციელებული ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • რეკომენდაცია შესრულებულია
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა
უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია. რეკომენდაცია 17: რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტები მარტივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე (კომპონენტი 4.2); უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ვიზიტის მსვლელობისას დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ უსდ-ს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განსაზღვრის წესი (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ, 25.09.2025). აღნიშნული წესი განსაზღვრავს თითოეული საგანთა ჯგუფის წლიურ ჯამურ დატვირთვას სასწავლო პერსონალის კატეგორიებზე: აკადემიური საათების 50% განსაზღვრულია აკადემიურ პერსონალზე, 20 % მოწვეულ პერსონალზე, ხოლო 30% საათობრივი ანაზრაურების პირობით დასაქმებულ პერსონალზე. შესაძლებელია განისაზღვროს სხვა დატვირთვა პროგრამის სპეციფიკის და საჭიროებების გათვალისწინებით, პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით. შესაბამისად, რეკომენდაცია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავების თაობაზე შესრულებულია. პერსონალის მართვის პოლიტიკა და სხვა შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტაცია განთავსებულია უსდ-ს ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე • საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განსაზღვრის წესი • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: gtu.edu.ge • განხორციელებული ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • რეკომენდაცია შესრულებულია
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
რეკომენდაცია 18: რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს საერთაშორისო სტუდენტების სათანადო ღონეზე ინფორმირება სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ, იმისათვის რომ ჰქონდეთ შესაძლებლობა გამოიყენონ თავიანთი უფლება აირჩიონ ან იყვნენ არჩეულები თვითმმართველობის წევრებად (კომპონენტი 5.1); თვითშეფასების ანგარიშით, უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ ფაკულტეტების საბჭოებში ქართველ ახალგაზრდებთან ერთად არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე სტუდენტებიც. ინტერვიუს პროცესში თვითმმართველობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სტუ-ს თვითმმართველობამ უცხოელი სტუდენტებისთვის ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრები, გარდა ამისა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან მათთან დაიგზავნა საინფორმაციო წერილები, უცხოელ სტუდენტებს მიეწოდათ

ინფორმაცია თვითმმართველობის როლის, ფუნქციისა და საქმიანობის შესახებ, ასევე, მოხდა მათი ინფორმირება როგორც არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის, ისე ხმის მიცემის თაობაზე.

მნიშვნელოვანია, რომ არჩევნებისთვის ბიულეტენები დამზადდა ორ ენაზე - ქართულად და ინგლისურად, რამაც უზრუნველყო მათთვის საარჩევნო პროცესისა და კანდიდატთა ვინაობის გამჭვირვალობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დებულება
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თვითმმართველობის 2025 წლის 29 იანვრის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი
- სტუდენტებთან გასაფორმელი საფინანსო ხელშეკრულებების ნიმუშები ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე.
- ბიულეტენების ნიმუშები ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაცია შესრულებულია

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

19. რეკომენდებულია, სტიპენდიებთან დაკავშირებული პროცესების ფორმალიზება და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი სტანდარტის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუდენტებისთვის.

თვითშეფასების ანგარიშით, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში, ინსტიტუციამ გადახედა სტიპენდიის საკითხების მარეგულირებელ ნორმატიულ დოკუმენტაციას და „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტიპენდიის დანიშვნის ზოგადი წესი“ გააჩინა ახალი ჩანაწერი, რომელიც გულისხმობს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და საქართველოს მოქალაქეობის

მქონე სტუდენტებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობები. მნიშვნელოვანია, რომ სასტიპენდიო მოთხოვნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რაც უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს როგორც ქართველი, ასევე, უცხოელი სტუდენტებისთვისაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 სექტემბრის №01-05-04/157 დადგენილება „სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტიპენდიების დანიშვნის ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ“;
- სტუდენტებთან გასაფორმელი საფინანსო ხელშეკრულებების ნიმუშები ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაცია შესრულებულია.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშეწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა

- უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.
- სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.
- უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები.
- 20. რეკომენდებულია, დოქტორანტების ხელმძღვანელებისთვის მენტორული მხარდაჭერის და ტრენინგების უზრუნველყოფა.
- 21. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დოქტორანტების ინგლისური ენის ცოდნის დონის დადგენის მიზნით ხელახლა განახორციელოს ინგლისური ენის გამოცდა;
- 22. რეკომენდებულია, სხვადასხვა ფაკულტეტებს და კვლევით ცენტრებს შორის თანამშრომლობითი, მულტიდისციპლინური კვლევითი აქტივობების ჩამოყალიბება;
- 23. რეკომენდებულია, არსებითად გაიზარდოს გამოქვეყნებები და წვლილი (კონტრიბუცია) მაღალი ხარისხის ჟურნალებში (ერთზე მეტი ინფაქტ ფაქტორი, Q1 ან Q2 "scimago" ჟურნალების კლასიფიკაციის მიხედვით);
- 24. რეკომენდებულია, დაზუსტდეს სადოქტორო ნაშრომის დაცვის წინაპირობები, მათ შორის სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების მოთხოვნა Web of Science ან Scopus - ის მონაცემთა ბაზების მიერ

ინდექსირებულ ჟურნალში, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების დოქტორანტებისთვის ERIH Plus მონაცემთა ბაზაში;

- 25. რეკომენდებულია, დოქტორანტისთვის ხელმძღვანელის დანიშვნის პროცედურის გაუმჯობესება. დანიშნულ პროფესორს ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი სამეცნიერო აქტივობები, რომელიც დაკავშირებული იქნება სადისერტაციო თემასთან, გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს სტატიები Web of Science ან Scopus მონაცემთა ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში, ხოლო ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით ERIH Plus მონაცემთა ბაზაში;

20. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუს შედეგები ადასტურებს, რომ საანგარიშო პერიოდში დოქტორანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელებისთვის ჩატარდა განმავითარებელი ტრენინგები, პროცესი უზრუნველყო უსდ-ში არსებულმა სწავლების ცენტრმა. ინტერვიუს დროს აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ ტრენინგებზე მიიღეს მნიშვნელოვანი გამოცდილება პლაგისტის საკითხებთან, აკადემიური წერის სტანდარტთან, სამეცნიერო ბაზებთან, მაღაგრეიტინგულ ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

21. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ საანგარიშო პერიოდში ინსტიტუციამ ქმედითი ნაბიჯები გადადგა რეკომენდაციის შესასრულებლად, კერძოდ:

- სტუ-ში არსებულ ყველა სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამაზე სავალდებულო გახდა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა, რაც აპლიკანტმა უნდა დაადასტუროს ან შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით, ან საერთაშორისო სერთიფიკატით მაგალითად:

ბრიტანული: PET – (Cambridge English).

Preliminary English Test.

(British Council).

FCE – First Certificate

(Cambridge)

CAE – Cambridge English Exam.

CPE – Cambridge Proficiency English

IELTS – International English Language Testing System (British Council on-line)

BC-BRITISH CENTRE- ბრიტანული ცენტრი

აშშ: TOEFL – Test of English as a Foreign Language

ETS – Global – subsidiary (ფილიალი)

საქართველოს ეროვნული საგამოცდო ცენტრი

CERTUS (certification)

- რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უცხო ენების ცენტრმა გააძლიერა საგამოცდო ტესტებიც.

22. წამმოდგენილი დოკუმენტებითა და ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში ინსტიტუციამ გააძლიერა მუშაობა მულტიდისციპლინური კვლევების მიმართულებით, რაც გამოიხატა უნივერსიტეტში არსებულ სხვადასხვა კვლევითი ცენტრის თანამშრომლობითა და ფაკულტეტების კოლაბორაციით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფაკულტეტის დეკანებთან შეხვედარა, სადაც გამოიკვეთა ურთიერთთანამშრომლობის არაერთი ფაქტი კვლევების მიმართულებით: ბიზნესტექნოლოგიები და სამართალი, სამთო გეოლოგიური და ქიმიური ტექნოლოგიები...

23. რეკომენდაციის შესრულების მიზნით, ინსტიტუციამ ერთი მხრივ განსაზღვრა პოლიტიკა მისი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მაღალრეიტინგულ, სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნების შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, ინტენსიური მუშაობა დაიწყო უნივერსიტეტში არსებული ჟურნალების ინდექსირებასთან დაკავშირებით, აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა ნორმატიული დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც სამეცნიერო ჟურნალებს განესაზღვრათ საერთაშორისო სტანდარტით აღიარებული მოთხოვნები, ინსტიტუცია იმედოვნებს, რომ 2 წლის ვადაში მოახერხებს რამდენიმე ჟურნალის მაღალრეიტინგულ ბაზებში ინტეგრირებას, რისი წინაპირობაც არის, ერთი მხრივ, საერთაშორისო სტანდარტით აღიარებული მოთხოვნები, ხოლო, მეორე მხრივ, ორი წლის აქტიური და უწყვეტი პუბლიკაციის ისტორია. აღსანიშნავია ისიც, რომ საანგარიშო პერიოდში უსდ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის

არაერთი ნაშრომი გამოქვეყნდა მაღალრეიტინგულ ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში როგორც საქართველოში, ასევე, საზღვარგარეთაც.

24 და 25 რეკომენდაცია დაარეგულირა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დამტკიცებულმა სადოქტორო საფეხურის ჩარჩოდოკუმენტმა, რომლის მიხედვითაც ცვლილებები შევიდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებაშიც, რომელიც ზემოთაღნიშნულ ორივე რეკომენდაციას ითვალისწინებს, აღსანიშნავია, რომ 2025-2026 სასწავლო წელს სადოქტორო პროგრამაზე მიღება განხორციელდა ახალი სტანდარტით, რომელიც გულისხმობს აპლიკანტების მიღებას მხოლოდ 2-წლიანი გამიცდილობის, ან სამეცნიერო აქტივობების არსებობის გათვალისწინებით, ასევე, აკადემიური ხარისხის მაძიებლისთვის განისაზღვრა მინიმალური სტანდარტი, რომელიც გულისხმობს:

დოქტორანტს ევალება გამოაქვეყნოს არანაკლებ სამი სამეცნიერო პუბლიკაცია, რომელთაგან:

□ მინიმუმ ერთი სტატია უნდა იყოს გამოქვეყნებული რეცენზირებად საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია Scopus, Web of Science ან, დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, სხვა ავტორიტეტულ საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზაში. DOAJ (Directory of Open Access Journals), PubMed – ბიომედიცინის დარგში, Copernicus Publications – ბუნებრივი და ტექნიკური მეცნიერებების მიმართულებით.

□ მინიმუმ ორი სტატია უნდა იყოს გამოქვეყნებული საერთაშორისო რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის დარგობრივ სტანდარტებს.

□ დოქტორანტმა უნდა მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, თემატურად დაკავშირებული თავისი სადოქტორო კვლევის საგნებთან. მონაწილეობა უნდა იყოს დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტაციით.

სამეცნიერო ხელმძღვანელების კომპეტენცია და კვალიფიკაცია კი უნდა დასტურდებოდეს მათ მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებითა და სამეცნიერო აქტივობებით, რაც, ასევე, ასახულია დოქტორანტურის დებულებაშიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტევიუს შედეგები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №133/ნ 2013 წლის 9 სექტემბერი,
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლისა და სწავლების ცენტრის მიერ 2024 წლის სექტემბრიდან 2025 წლის სექტემბრამდე ჩატარებული ტრეინინგები
- ინგლისური ენის ტესტის ნიმუში
- დაშვების წინაპირობები პროგრამებიდან
- საერთაშორისო უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმები
- ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი-მისია
- ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი-მისია
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 სექტემბრის №01-05-04/160 დადგენილება „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 5 ოქტომბრის № 01-05-04/153 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო პერიოდული გამოცემების შესახებ

რეკომენდაციები:

- რეკომენდაცია შესრულებულია

რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია ☐ უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. ☐ ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში. ☐ უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.
26. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს ეფექტური სტრატეგია და წახალისების სისტემა კვლევის მხარდაჭერის მიზნით ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არაერთი საერთაშორისო ქსელისა თუ ასოციაციის წევრია, თვითშეფასების ანგარიშით, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუს შედეგებით დგინდება, რომ საანგარიშო პერიოდში ინსტიტუციამ გააძლიერა მუშაობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი თავის აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს ინტერნაციონალიზაციის უზრუნველსაყოფად ეხმარება სხვადასხვა მიმართულებით, გრანტების ოფისი უზრუნველყოფს მათთვის ინფორმაციის მიწოდებას და ტექნიკური სირთულეების დაძლევის, ხოლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საერთაშორისო კვლევების, მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსებას, რაც განსაკუთრებული მოტივაციაა მათი პროფესორებისთვის, ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ გარდა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტებისა, უნივერსიტეტი ფაკულტეტების დონეზე ყოველწლიურად ავლენს ისეთ აკადემიურ თუ სამეცნიერო პერსონალს, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა თუ სამეცნიერო მიმართულებით გაძლიერებაში, მათთვის იგეგმება წამახალისებელი ღონისძიებები როგორცაა: ოქროს მედალი, მადლობის წერილი, ფულადი ჯილდო. თვითშეფასების ანგარიშში წარმოჩენილი ინფორმაცია „2025 წლის 24 სექტემბრის მონაცემებით, 2025 წელს აკადემიური პერსონალისთვის გამოცხადებული იქნა 77 კვოტა, მათგან ისარგებლა 63 აკადემიურმა თანამშრომელმა. ამჟამად გამოცხადებულია 20 კვოტა აკადემიური თანამშრომლისთვის და მიმდინარეობს კონკურსი. საკონკურსო კვოტების რაოდენობა წლის ბოლომდე გაიზრდება. 2025 წელს ერასმუს + პროგრამით ისარგებლა სამმა დოქტორანტმა.“ ინტერვიუს შედეგებითაც დადასტურდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები; • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ.გვერდი - ინტერნაციონალიზაცია • Erasmus +
რეკომენდაციები: რეკომენდაცია შესრულებულია

რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება
უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა. 27. რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის და მკვლევრების შესრულების შედეგების მიზნით გამოიყენოს ისეთი საზომი, როგორც არის ციტირების რაოდენობის გამოთვლა, FWCI, i10; 28. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გამოიყენოს კვლევის ხარისხის ეფექტურობის შეფასების ანალიზი ახალი კვლევითი სტრატეგიის დასაგეგმად სამომავლო განვითარების მიზნით. 27-ე რეკომენდაციის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში ინსტიტუციამ ქმედითი სამუშაო განახორციელა, კერძოდ: - შეიქმნა მექანიზმები ციტირების მონაცემების რეგულარული შეგროვებისა და ანალიზისთვის: მათ შორის — Google Scholar და ORCID-ზე ავტორების რეგისტრაცია, სადაც Google Scholar-ზე უკვე დაფიქსირებულია პერსონალის უმეტესობა. - მიმდინარეობს შიდა ციფრული პლატფორმის შექმნა, რომელიც მიზნად ისახავს ციტირების მაჩვენებლების, h-index-ის, i10-index-ისა და FWCI-ის დაფიქსირებას და მონიტორინგს თითოეული მკვლევრის დონეზე. - ჩატარდა ტრენინგები და სემინარები პერსონალის ინფორმირებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რათა ისინი ეფექტიანად მართავდნენ თავიანთ კვლევით პროფილებს (Google Scholar, ORCID, Scopus, Author ID). აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურდა ინტერვიუს პროცესითაც. 28-ე რეკომენდაციის შესასრულებლად ინსტიტუციამ ცვლილებები შეიტანა „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესში“ რაც სამომავლო განვითარების მიზნით უფრო ეფექტიანად შეაფასებს უსდ-ში განხორციელებული კვლევების ხარისხს, გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ყოველწლიური გარე შეფასება ხორციელდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - თვითშეფასების ანგარიში; - ინტერვიუს შედეგები; - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 სექტემბრის №01-05-04/160 დადგენილება „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 5 ოქტომბრის № 01-05-04/153 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

• საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე განთავსებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგები. • სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2025 წლის 11 სექტემბრის №1120504 ბრძანება საერთაშორისო ცნობადობასა და სარეიტინგო სისტემებთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ.
რეკომენდაციები: • რეკომენდაცია შესრულებულია
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
რეკომენდაცია 29: რეკომენდებულია დაწესებულებამ მოამზადოს დაწესებულების ყველა შენობის და დაკავშირებული ინფრასტრუქტურის დეტალური სარემონტო გეგმა (ლაბორატორიების, სანიტარული კვანძების, ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის, სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს, კვების ობიექტების), (მაქსიმუმ სამი წელი) და განსაზღვროს სავარაუდო ბიუჯეტი (კომპონენტი 7.1); რეკომენდაცია 29 შინაარსობრივად მსგავსია 37-ე რეკომენდაციის (რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მოამზადოს სტრატეგიული / სამოქმედო გეგმა შენობების, ინფრასტრუქტურის და ლაბორატორიების რეაბილიტაციის / რემონტის შესაბამისი ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური რესურსების მოძიების მიზნით). შესაბამისად ამ რეკომენდაციის შესრულების აღწერა დეტალურად მოცემულია 7.4 კომპონენტში.

რეკომენდაცია 30: რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა თითოეულ შენობაში უზრუნველყოს საევაკუაციო გეგმა და განათავსოს სპეციალური ნიშნები (კომპონენტი 7.1);

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერე შენობები და ყველა დათვალიერებულ შენობაში ფიქსირდება საევაკუაციო გეგმა.

რეკომენდაცია 31: რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა თითოეულ შენობაში გამოყოს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (კომპონენტი 7.1);

ექსპერტთა ჯგუფი შენობების დათვალიერებისას გაესაუბრა უსაფრთხოების წარმომადგენლებს მათ შორის სახანძრო უსაფრთხოების პასუხისმგებელ პირებს. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ ყველა შენობაში გამოყოფილია სახანძრო უსაფრთხოების პასუხისმგებელი პირები.

რეკომენდაცია 32: რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სასწავლო პროცესში როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვის უნდა გაითვალისწინოს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების პროცედურები (კომპონენტი 7.1);

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შემუშავებულია დოკუმენტაცია ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, სახანძრო და შრომითი დაცვის საკითხებზე. ყველა რეგულაცია განსაზღვრულია უნივერსიტეტის ოფიციალურ დოკუმენტებში, წესდებაში, სხვადასხვა სამსახურის დებულებებსა და რექტორის ბრძანებებში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის შესაბამისად, უნივერსიტეტი ახორციელებს ყველა საჭირო ღონისძიებას თანამშრომლებისა და სტუდენტების ინფორმაციის დასაცავად. შეიქმნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, რომელიც ვრცელდება დასაქმებულებზე, სტუდენტებზე, პროექტების მონაწილეებზე და უნივერსიტეტთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირზე.

დამტკიცდა ვიდეო და აუდიომონიტორინგის წესები, რომლებიც არეგულირებენ მონიტორინგის მიზნებს, ხანგრძლივობას, ჩანაწერების შენახვას და განადგურების პროცედურებს. ვიდეოკამერები განთავსებულია შესასვლელებში, დერეფნებში და საგამოცდო ცენტრებში უსაფრთხოების, საკუთრების დაცვისა და გამოცდების კონტროლის მიზნებისთვის.

შემუშავდა ინციდენტის შეტყობინების წესი, მონაცემთა დამუშავების ადრიცხვის ფორმა და თანხმობის დოკუმენტები როგორც პერსონალისთვის, ისე სტუდენტებისთვის. კანონთან შესაბამისობაში მოყვანილ იქნა შრომითი და საფინანსო ხელშეკრულებები. ჩატარდა ტრენინგები და გაიცა რეკომენდაციები ადმინისტრაციულ ერთეულებსა და ფაკულტეტებზე.

